



ადმონავალაქის ჰარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



### საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 17 დეკემბერი, 2013 წელი

დრო: 11:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" ოფისი

#### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
2. ლაშა ტულუში - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს პრესის ასოციაცია
3. ნაზი ჯანუაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, ციხის საერთაშორისო რეფორმა
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
5. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
6. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი

## განსახილველი საკითხები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მესამე სამიტის შედეგები
2. პოლიტიკის დოკუმენტების შემდგომი ადვოკატირება
3. საერთო კრების ჩატარება

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა პირველ საკითხად იმსჯელეს აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მესამე სამიტზე, რომელიც მიმდინარე წლის 28–29 ნოემბერს გაიმართა ლიტვაში, ვილნიუსში. სამიტზე დასრულდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირების პროცესი და ხელი მოეწერა შეთანხმების ტექსტს. ასოცირების შესახებ შეთანხმება უკვე განთავსებულია ევროკომისიის ვებგვერდზე. პლატფორმის თავმჯდომარის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროცესები შეუფერხებლად წარიმართოს და სექტემბერში მოხდეს შეთანხმების საბოლოო ხელმოწერა. მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით, აუცილებელია ჩატარდეს ფართო საინფორმაციო კამპანია, არასამთავრობო სექტორმა კი შეასრულოს თავისი მნიშვნელოვანი როლი პროცესების დაბალანსების საქმეში. პლატფორმის თავმჯდომარის აზრით, კომუნიკაცია და საზოგადოებასთან მუშაობა უნდა იყოს პლატფორმის მთავარი მიმართულება მომავალ წელს.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი მომავალ წელს გაიმართება საქართველოში, ამიტომ თავმჯდომარის თქმით, საჭიროა დროული კოორდინაცია საბიუჯეტო და საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. მთავრობა აფინანსებს ორგანიზაციულ საკითხებს, ევროკავშირი უზრუნველყოფს ლოჯისტიკას, პლატფორმას კი მოსამიებელი ექნება სახსრები პარალელური სესიების გასამართად. შესარჩევია ასევე ფორუმის ჩატარების ოპტიმალური თარიღი. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა პლატფორმის ბაზაზე შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ყველა ამ საკითხს გაუწევს კოორდინაციას.

ამის შემდეგ საბჭოს წევრებმა განიხილეს ეროვნული პლატფორმის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების შემდგომი ადვოკატირების საკითხი. საქართველოს პრესის ასოციაციის წარმომადგენლის თქმით, არსებული რეალობიდან გამომდინარე დოკუმენტებთან მიმართებაში უნიფიცირებული მიდგომა ვერ ჩამოყალიბდება. ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სისტემა, ამიტომ საჭიროა შემუშავდეს ინდივიდუალური მიდგომა, თუმცა ამავე დროს აუცილებელია საერთო ძალისხმევა რეალური შედეგის მისაღწევად. ამისთვის დეკემბრის ბოლოს ჩატარდება სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იქნება პოლიტიკის დოკუმენტების შემდგომი ადვოკატირების პერსპექტივების განხილვა.

პრესის ასოციაციას წარმომადგენლის აზრით, კარგი იქნება თუ მომავალ წელს მთავრობასთან გაფორმდება მემორანდუმი სტრუქტურული დიალოგის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ პროცესები ევროპულ ინტეგრაციასთან არის კავშირში, ამ მიმართულებით აუცილებელია ევროკავშირის მხარდაჭერაც. საჭიროა პოზიტიური იდეების კონსოლიდაცია და მათი

ინსტიტუციური გაძლიერება, დარგობრივ სამინისტროებთან სამუშაო ჯგუფების თანამშრომლობის გააქტიურება.

შეხვედრის ბოლოს საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საერთო კრების ჩატარების თარიღზე. გადაწყდა, რომ საერთო კრება გაიმართება 2014 წლის 17 იანვარს. საერთო კრებაზე კენჭისყრის საფუძველზე მოხდება ახალი საკოორდინაციო საბჭოს არჩევა. სამუშაო ჯგუფებს ექნებათ შესაძლებლობა 10 იანვრამდე სამდივნოს წარუდგინონ ჯგუფების კოორდინატორების კანდიდატურები.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია